

შპს მონოლითი

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „მონოლითი „

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	1
2. მომზადების საფუძველი.....	1
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	1
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	5
5. შემოსავალი რეალიზაციიდან	6
6. თვითღირებულება	6
7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6
8. ძირითადი საშუალებები.....	7
9. სასაქონლო მატერიალური მარაგები	8
10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	8
11. გაცემული სესხები.....	8
12. კაპიტალი	8
12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9

შპს "მონოლითი"

#1 ბალანსი

შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31.12.2024	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31.12.2023	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31.12.2022	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო 31.12.2021
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,358.00	24,093.00	4,834.00	11,850.00
სავაჭრო მოთხოვნები	910,549.00	956,215.00	1,176,701.00	1,509,629.00
სხვა მოთხოვნები	15,728.00	16,239.00	50,110.00	68,224.00
სულ მარაგები და სასაქ.მატერ.ფასეულობები	380,885.00	424,722.00	516,615.00	322,992.00
- მზა პროდუქცია	-	-	-	-
- სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	380,885.00	424,722.00	516,615.00	322,992.00
საინვესტიციო ქონება				
სულ ძირითადი საშუალებები :	682,707.00	681,858.00	445,100.00	402,121.00
არამატერიალური აქტივები	1,393.00	1,393.00	1,453.00	1,453.00
ძირითადი საშუალებები	681,314.00	680,465.00	443,647.00	400,668.00
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	10,013.00	10,013.00	22,664.00
სულ აქტივები	1,996,227.00	2,113,140.00	2,203,373.00	2,337,480.00
ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულება				
სავაჭრო ვალდებულებები	1,792,015.00	1,868,720.00	1,655,024.00	1,112,478.00
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	(11,764.00)	5,390.00	15,293.00	17,023.00
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	36,515.00	25,565.00	6,041.00	147,717.00
საგადასახადო ვალდებულებები				
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	227,120.00	-	-	-
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები				
მიღებული გრანტები				11,500.00
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2,043,886.00	1,899,675.00	1,676,358.00	1,288,718.00
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი	466,360.00	466,360.00	466,360.00	466,360.00
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(514,019.00)	(252,895.00)	60,655.00	582,402.00
გადაფასების რეზერვი				
სხვა რეზერვები				
სულ საკუთარი კაპიტალი	(47,659.00)	213,465.00	527,015.00	1,048,762.00
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,996,227.00	2,113,140.00	2,203,373.00	2,337,480.00

შპს "მონოლითი"

დირექტორი :



/გ.წულუკიძე/

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები		1,337,710.00
საქონლის გაყიდვიდან		-
მომსახურების გაწევიდან (ცოვად გლინვა)		868,195.00
სამშენებლო ინვენტარის ოჯარა		62,020.00
საწარმოო ფართის ოჯარა	5	162,712.00
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		206,464.00
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან		3,873.00
სხვა შემოსავალი		34,446.00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6	1,138,288.00
გაწეული მომსახურების თვითღირებულება(დანახარჯები		1,138,288.00
საერთო მოგება		199,422.00
ხარჯები:		
დასაკმებელთა ანაზღაურება		218,627.00
ცვეთა და ამორტიზაცია		47,685.00
საპროექტო შემოსავალი:		
ქონება და მიწის გადასახადი	7	16,220.00
საამქროების მიმდინარე შენახვის ხარჯები		66,481.00
სხვა საოპერაციო ხარჯები		111,465.00
სულ საოპერაციო ხარჯები		460,478.00
საოპერაციო მოგება		(261,056.00)
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობით		(261,056.00)
მოგების გადასახადი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/(ზარალი)		(261,056)

შპს "მონოლიტი"

დირექტორი :  გ.წულუკიძე/



კაპიტალის მოძრაობა

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		252,895
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(261,056)
კაპიტალის სხვა ცვლილებები		68
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		(8,093)

შპს "მონოლიტი"
დირექტორი



/გ.წულუკიძე/

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს მონოლითი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2001 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 204423837.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ლითონის გადამუშავება ცივად გლინვის მეთოდით (დამკვეთის ნედლეულის დამუშავება, მომსახურების გაწევა) და სამშენებლო მოწყობილობების იჯარა, საანგარიშგებო პერიოდში კომპანია ახორციელებდა სხვადასხვა ლითონკონსტრუქციების მოწყობის სამუშაოებს (ტენდერები) და არასაცხოვრებელი საწარმოო ფართის რეაბილიტაციის (სარემონტო) სამუშაოებს.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია თბილისი, რუსთავის გზატკეცილი #36 (ქვემო ფონიჭალა),

კომპანიის მეწილეები: 2018 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში კომპანიის მეწილეები არ შეცვლილა და მის 50%-ს ფლობდა კონსტანტინე წირღვავა და 50%-ს მაია შალიკაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანიას არ წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენა მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის ადრინდელი საფუძვლებიდან მსს ფასს-ზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებზე.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024 წლის 31 დეკემბრის, 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022-21 წლის 31 დეკემბრისა უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2021	წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022	წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844
კურსი 2023	წლის 31 დეკემბრისათვის	2.6894	2.9753
კურსი 2024	წლის 31 დეკემბრისათვის	2.8068	2.9306

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით.

ძირითადი საშუალებები.

კომპანიის ძირითადი საშუალებების უმრავლესობა (90%) წარმოადგენს კაპიტალში შემოტანილ აქტივებს დამფუძნებლების მიერ 2001 წელს . მათი უმრავლესობა დღეის მდგომარეობით ამორტიზებულია.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **დაუმთავრებელი მშენებლობა.** დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შეიყვანება მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული: მასალები, შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და მშენებლობაში და

ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესა იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხდება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ

ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება შემცირებადი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

კომპანია	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	20
მანქანა დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა ძირითადი საშუალებები	6

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

კომპანია	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	7 წელი
სხვა	3-7 წელი

მარაგები. კომპანიის მარაგები წარმოადგენს ძირითადად სასაქონლო მატერიალურ მარაგებს, რომელიც განკუთვნილია საკუთარი მოხმარებისათვის (მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯებისთვის, კაპიტალური დანახარჯებისთვის, ან/და გასაწევი(გაწეული) მომსახურებისათვის საჭირო სასაქონლო მატ.მარაგებს.

კომპანია არ ახორციელებს ამ მარაგებით მზა პროდუქციის წარმოებასა და გაყიდვას.

მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველაწარმოადგენს დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც

გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შემენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიას განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მფლობელთა გადაწყვეტილებით.

შემოსავლების აღიარება. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. კომპანია აღიარებს

შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში. 2023 წელს დივიდენდის გამოცხადება და განაწილება არ მომხდარა.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო

ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ მოძველებას და ფიზიკურ ცვეთას. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან.

5. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2024
შემოსავალი დამკვეთის ნედლეულის გადამუშავებიდან(ცივად გლინვა)	868 195 -
სამშენებლო ინვენტარის (დგარების) გაქირავებიდან	62 020 -
შემოსავალი არასაცხოვრებ საწარმოო,ფართის იჯარიდან	162 712 -
შემოსავალი სატრანსპორტო მომსახურებიდან	3 873
შემოსავალი სამშენებლო/სარემონტო გაწეული.მომსახურებიდან	206 464 -
სხვა შემოსავალი	34 446 -
სულ შემოსავლები	1 337 710 -

6. თვითღირებულება

	2024
	-
გაწეული მომსახურების თვითღირებულება(დანხარჯები)	(1 138 288) -
	-
სულ თვითღირებულება	(1 138 288) -

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2024
დაცვისა და კომუნალურის ხარჯები	(41 948)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(47 685)
ადმინ.ხელფასები და სხვა სარგებელი	(218 627)
სამეურნეო, ექსპლოატაც და მიმდ.შენახვ ხარჯი	(66 481)
საწვავის ხარჯი	(2 840)
სხვა ხარჯი	(66 677)
ქონება /მიწის გადასახადი	(16 220)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(460 478)

8. ძირითადი საშუალებები

თანხა მოცემულია ქართულ ლარში

	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა ნაგებობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
ბალანსი 01 იანვარი 2024	449 586	101 869	252 232	923 296	434 630	2 161 613
დამატება	2 850	1 611	0	44 042	0	48 503
გასვლა	0	0-	-	-	-3 009	-3 009
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	452 436	103 480	252 232	967 338	431 621	2 207 107
ცვეთა						
ბალანსი 01 იანვარი 2024	442 438	71 880	224 815	332 194	408 428	1 479 755
წლის დარიცხული ცვეთა	4 458	3 693	3 352	31 747	4 335	47 685
გასვლა	-	-	-	-	- 3 040	-3 040
ბალანსი 31 დეკემბერი 2024	446 996	75 573	228 167	363 941	409 723	1 524 400
ნარჩენი ღირებულება	-	-	-	-	-	-
01 იანვარი 2024	7148	29 989	27 417	591 102	26 202	681 858
31 დეკემბერი 2024	5 440	27 907	24 065	603 397	21 898	682 707

9. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საქონელი (მზა პროდუქცია)	0	0
მზა პროდუქცია	0	0
სხვა საბრუნავი მასალები (სასაქ.მატ.ფასეულობები)	380 885	424 722
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	380 885	424 722

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	910 549	956 215
გადახდილი ავანსები		0
სადაო მოთხოვნები	15 442	15 442 -
მოთხოვნები პერსონალის მიმართ(ანგ.ვალდ.პირები)	287	797
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	926 278	972 454
უიმედო ვალების რეზერვი	0	0
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	926 278	972 454

11. გაცემული სესხები და მიღებული სესხები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გაცემ სესხები დაკავშირებულ მხარეებთან	0	10 013
სულ გაცემული სესხები	0	10 013

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მიღებული სესხები	227 120	0
სულ მიღებული სასესხო ვალდებულებ	227 120	0

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს პარტნიორების შენატანებს და დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას.

საწესდებო კაპიტალი მოიცავს საწყის საწესდებო კაპიტალს 466 360 ლარის (ერთეულ ლარში) ოდენობით.

დამფუძნებლებს შორის წილობრივი გადანაწილება არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
კონსტანტინე წირღვავა	50%	50%
მაია შალიკაშვილი	50%	50%

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

2024წელს დივიდენდის გამოცხადება და გაცემა არ მომხდარა.

13 . სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო ვალდებულებები	1 792 015	1 868 720
მიღებული ავანსები		-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	24 751	30 955
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2 043 886	1 899 675